ფოტო: ბესო დარჩია

საქართველო და გლობალური ცენტრები

9 მაისს ევროკავშირმა ევროპის მშვიდობისა და ერთიანობის დღე აღნიშნა. 60 წლის წინ, 1950 წლის 9 მაისს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა ევროპელ კოლეგებს ევროპული ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა შესთავაზა. წინადადებამ, რომელსაც დღეს შუმანის დეკლარაციად მოიხსენიებენ, საფუძველი ჩაუყარა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას, რამაც ევროკავშირის შექმნამდე მიგვიყვანა.

მაშინ, როდესაც ევროპის დიდი ნაწილი მშვიდობისა და ერთიანობის დღეს აღნიშნავს, საქართველოს ერთიანობა დარღვეულია და 300 000-მდე მოქალაქე საკუთარ სახლში ვერ ბრუნდება. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვერც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აღწევს, რომლის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიას ფარავს. ამ და სხვა თემებზე ტაბულა ესაუბრა სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ჰანსიორგ ჰაბერს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ვერ ასრულებს მანდატით განსაზღვრულ მოვალეობებს რუსეთის წინააღმდეგობის გამო. ცდილობს თუ არა ევროკავშირი ამ წინააღმდეგობის დაძლევას?

ევროკავშირის წევრი ქვეყნები მუდმივად ახსენებენ რუსებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობისა და ჩვენი უფლების შესახებ, პატრულირება ვაწარმოოთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ჯერჯერობით ამაოდ. მეორე მხრივ, ჩვენ შეუიარაღებელი დამკვირვებლები ვართ, ძალით ვერ დავიკავებთ ამ ტერიტორიებს. არაღიარების პოლიტიკა ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია მათ შორის, რაც ამ ეტაპზე რუსეთის ქმედებებს შეიძლება დაუპირისპირო.

ეუთოც და გაეროს მისიაც დაიბლოკა იმიტომ, რომ რუსეთი ორივე ორგანიზაციის წევრია და ორივე ორგანიზაციაში გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის. რამდენად შეუძლია რუსეთს, გავლენა იქონიოს ევროკავშირზე, რომლის წევრიც ის არ არის?

რუსეთს ევროკავშირზე გავლენა არ აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ევროკავშირს აქვს პირდაპირი გავლენა რუსეთზე. თუმცა, როგორც აგვისტოს ომმა გვიჩვენა, ევროკავშირთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი ფაქტორია რუსეთისთვის. სწორედ ამ ფაქტორმა გახადა შესაძლებელი 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მისია. ვფიქრობ, ევროკავშირს ამ ეტაპზე არ შესწევს ძალა, აიძულოს რუსეთი, გადახედოს გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ. რუსეთს ეს გადაწყვეტილება მიღებული აქვს. ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს არაღიარების პოლიტიკის მეშვეობით სასარგებლო როლის თამაში. ტერიტორიული მთლიანობა კი ქართველებმა თავად უნდა აღადგინონ, რასაკვირველია, ევროკავშირის დახმარებით.

სხვა ფუნქციებთან ერთად, ევროკავშირის მისია 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულებასაც ადევნებს თვალს. თქვენი ანალიზი...

ევროკავშირის წევრი ქვეყნები მუდმივად ახსენებენ რუსეთს იმის შესახებ, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც შეიარაღებული ძალები ომამდელ პოზიციებზე უნდა დაბრუნდეს, შესრულებული არ არის. არ სრულდება არც მე-3 მუხლი, რომელიც ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალ გადაადგილებას გულისხმობს.

რას დაასახელებთ მისიის მთავარ პრობლემად?

პრობლემებმა სახე იცვალა. ჩამოსვლისას მთავარი პრობლემა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების არარსებობა იყო. ბოლო ინციდენტი ერთი წლის წინ მოხდა - ქართველი პოლიციელი მოკლეს. მართალია, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორია არც დღეს არის ის ადგილი, მე და თქვენ რომ მოგვინდებოდა ცხოვრება, მაგრამ გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე თუნდაც ერთი წლის წინ. ამ ეტაპზე მთავარ პრობლემებად რჩება კომუნიკაციის არარსებობა, უნდობლობა, გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეები. ჩვენი აქ ყოფნის მანძილზე პრობლემები არ შემცირებულა, მაგრამ უფრო „ცივილური“ გახდა.

რუსეთის მხრიდან კვლავინდებურად გვესმის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორია ტერორიზმის ბუდეა, რომ ეს ქვეყანა ხელახალი თავდასხმისთვის ემზადება. მსგავსი ბრალდებები აგვისტოს ომის დაწყებამდეც ისმოდა. რას აკეთებს მისია საპასუხოდ? ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთს ეს განცხადებები მორიგი აგრესიის გასამართლებლად სჭირდება?

გასული წლის ივნისში ჩვენ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოვაწერეთ გაგების მემორანდუმს, რომლის მიხედვით საქართველომ ცალმხრივად გაათავისუფლა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიები მძიმე იარაღისგან. ამას მოჰყვა რუსეთის ბრალდება ამ ტერიტორიების გამალებული შეიარაღების შესახებ. ჩვენმა მისიამ წარმატებით უარყო ბრალდება. ვფიქრობ, რუსებმა ამ ხერხით შეგვამოწმეს, დარწმუნდნენ, რომ მართლა ვაკვირდებით მდგომარეობას და სადამკვირვებლო მისია ტყუილად არ გვქვია. ამის შემდეგ ბრალდებების ეს სერია შეწყდა და ახალი ტიპის ბრალდებამ იჩინა თავი, რაც საქართველოს გამალებულ შეიარაღებას ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მისიის ფუნქციებში არ შედის ამაზე დაკვირვება, ფაქტია, რომ საქართველომ შეამცირა თავდაცვის ბიუჯეტი და სამხედრო მოსამსახურეების ნაწილი. შემდეგ გაჩნდა ბრალდებების ციკლი იმის თაობაზე, რომ საქართველო ალ ქაიდას ეხმარება. რაც შეეხება საფრთხეს, როგორც უკვე ვთქვი, აგვისტოს ომი და ევროკავშირის რეაქცია რუსეთისთვის იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო მნიშვნელოვანი საკითხია და განმეორებითი აგრესია აუცილებლად ცუდად იმოქმედებს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობაზე. რუსეთი აქამდე აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს იმ მიზეზით არ აღიარებდა, რომ საქართველოზე მოქმედების ბერკეტი ჰქონოდა. აღიარებით მან ეს ბერკეტი დაკარგა. ახლა მათთვის მნიშვნელოვანია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შემოიმტკიცონ. თუმცა, ეს ჩემი ვარაუდია. დაზუსტებით რამის თქმა ძნელია.

რამდენად ამომწურავ ინფორმაციას იღებთ სატელიტით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ?

ევროკავშირს სატელიტური ცენტრი ესპანეთში აქვს. აქედან სურათის გადაღება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი. მისი რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბუნებრივია, ავღანეთზე იხარჯება, თუმცა რაღაც წილი ჩვენც გვეკუთვნის და შეგვიძლია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე დაკვირვება. მაგრამ ამას სენსაციად ნუ განვიხილავთ. დღეს ყველა ყველას აკვირდება: ჩვენ ვუყურებთ რუსებს, ისინი გვიყურებენ ჩვენ. ეს ისეთივე სასარგებლო არ არის, როგორც ადგილზე პატრულირება. სატელიტური ფოტოები მხოლოდ იმ ინფორმაციას ადასტურებს, რომელსაც სხვა წყაროებითაც ვიღებთ: აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უშიშროების ფედერალური სამსახურის ბაზები შენდება და ასე შემდეგ. ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია და ეს ძალიან ცუდია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ცალმხრივად დათანხმდა გამჭვირვალობას. მაგრამ დღეს, როდესაც სრული სურათი არ აქვს იმის შესახებ, თუ რა ხდება სასაზღვრო ზოლის მეორე მხარეს, საქართველოს ხელისუფლება გეგმას ცუდი სცენარის მიხედვით აწყობს, რაც ლოგიკურია. თუ არ იცი, რა ხდება, უარესი უნდა წარმოიდგინო. ამიტომ არის საჭირო, რუსეთმა შემხვედრი ნაბიჯები გადადგას გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ომის შემდეგ შექმნილი ფეთქებადი შემთხვევები...

გასული წლის ივნისში აფეთქდა სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელსაც ჩვენი მონიტორები მიაცილებდნენ. მძღოლი დაიღუპა, ექიმი გადარჩა. ამას გარდა, მონიტორებს პრობლემა შეექმნათ 2008 წლის ოქტომბერში ბუფერულ ზონებში პატრულირებისას მთვრალ, ადგილობრივ გასამხედროებული დაჯგუფებების წარმომადგენლებთან.

რუსები განსაკუთრებით ღელავენ დეზერტირ სამხედროებთან დაკავშირებული ინციდენტების დროს და ვერ იგებენ, რატომ არ უბრუნებს გაქცეულ სამხედროებს ქართული მხარე. ამ დროს გვიწევს ავუხსნათ, რომ საქართველო არ არღვევს საერთაშორისო სამართალს და ასე შემდეგ. აჟიოტაჟი იყო ომის წლისთავის წინა პერიოდში, მუხროვანის აჯანყებისას. არც ტალიავინის ანგარიშის გამოქვეყნებას ჩაუვლია მშვიდად. თუმცა, აქ უფრო ბევრი ემოცია დაიხარჯა. რეალური საფრთხე არ დაგვინახავს.

როგორც ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილე, რას იტყვით, რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეს ამ პროცესის მიმართ?

ჟენევის მოლაპარაკებები ძალიან რთული პროცესია და მიხარია, რომ მხოლოდ მონაწილე ვარ და არა მხარე. ამ მოლაპარაკების ფარგლებში შექმნილია ორი სამუშაო ჯგუფი. ერთი უკავშირდება სტატუსს და არაღიარების პოლიტიკას. აქ ყველა, გარდა რუსეთისა, ერთ აზრზეა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ურღვევია, კომპრომისისთვის ადგილი არ რჩება, შესაბამისად, არც არაფერი კეთდება. მეორე ჯგუფი კი ჰუმანიტარულ საკითხებზე მუშაობს. შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს იძულებით ადგილნაცვალი პირებისთვის, თუმცა განსაკუთრებულ წარმატებას ვერც აქ მივაღწევთ, იმიტომ რომ რუსები, ამ კუთხით დათმობების სანაცვლოდ, სტატუსზე უკან დახევას ითხოვენ მონაწილეების მხრიდან, რაც შეუძლებელია. ჟენევის მოლაპარაკებები თავისუფლად შეიძლება შევადაროთ დახურულ წრეს, რომლის გარღვევა შიგნიდან ვერ მოხერხდება, გარე იმპულსია საჭირო. თუმცა, არ ვიცი, რა შეიძლება ამისთვის გამოდგეს.

რამდენად საკმარისია ევროპის ძალისხმევა იმისთვის, რომ მუდმივი ზეწოლის ქვეშ მყოფ საქართველოში ევროპული ფასეულობების მიმართ სკეფსისი არ გაჩნდეს, განსაკუთრებით რუსეთის შეცვლილი ტაქტიკის პირობებში?

ევროკავშირი ამ ეტაპზე საქართველოს წევრობას ვერ სთავაზობს, მაგრამ წევრობის გარეშეც ახერხებს სიკეთის გაკეთებას. ვიზების გამარტივება, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ტექნიკური დახმარება და ასე შემდეგ. ევროპის ნაწილად ყოფნა არ ნიშნავს მაინცდამაინც ევროკავშირის წევრობას. მიმაჩნია, რომ საქართველომ რუსეთთან მეზობლობითაც უნდა მიიღოს სარგებელი, თუმცა ვხვდები, რომ მეზობლობას, სულ მცირე, ორი მოქმედი პირი სჭირდება.

რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს მისიას, ჩვენ არ ვარიგებთ ფულს და პროდუქტს. ჩვენს ფუნქციებში მხოლოდ უსაფრთხოებაზე დაკვირვება შედის. ვიფიქრეთ, რომ ადგილზე მცხოვრებლები ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას არ მიიჩნევენ განსაკუთრებულ მიღწევად და კამპანიის ჩატარება გადავწყვიტეთ. ავტობუსით მოვიარეთ თითქმის მთელი საქართველო, ვმართავდით სხვადასხვა ღონისძიებას, ვხვდებოდით მოსახლეობას. გამიკვირდა, რომ ასე არ აღმოჩნდა. ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი კარგად აცნობიერებენ, რა მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოებას და რა წვლილი მიუძღვის უსაფრთხოების შენარჩუნებაში ევროკავშირის მისიას. მოგზაურობა ფირზე აღვბეჭდეთ და ბრიუსელში ვაჩვენებთ 8 მაისს, ევროპის ღია კარის დღეზე.